საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/875
09.06.2026

ბრძანება

875-01-4-202606091410

შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) მიერ შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8^1 მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) მიერ შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით.

2. შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) მიერ შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ

ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) მიერ შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 08 მაისის N01/4116 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „პიემ მეტალსა“ (ს/ნ 405336925) და შპს „იბერია რიბარს“ (ს/ნ 445811621) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარემ სააგენტოში წარმოადგინა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.[1]

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2025 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

შპს ,,პიემ მეტალის" (ს/ნ 405336925) 75%-იანი წილის მფლობელია გიორგი მირიანაშვილი (პ/ნ [redacted]), ხოლო 25%-იანი წილის მესაკუთრედ 2026 წლის 21 მაისიდან აღირიცხა ფ/პ პაველ მიდელაშვილი (პ/ნ [redacted]).

რაც შეეხება შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621), მისი 100%-იანი წილის მესაკუთრეა შპს ,,რუსთავის ფოლადი“ (ს/ნ 404411908). შპს „იბერია რიბარი“ (ს/ნ 445811621) დაფუძნდა

[1] 2026 წლის 11 მაისის N01/4158 წერილი.

2025 წლის 02 დეკემბერს და მას შპს „რუსთავის ფოლადისაგან“ სრულად გადაეცა ის აქტივები, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო არმატურის საწარმოებლად, ვინაიდან განსახილველი ტრანზაქციის დასრულების შემდგომ შპს ,,რუსთავის ფოლადი“ გადის სამშენებლო არმატურის წარმოების ბაზრიდან. თავის მხრივ, თავად შპს ,,რუსთავის ფოლადის“ (ს/ნ 404411908) 100%-იანი წილი კი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ტოლანიუს ბიჰეერ ბი.ვი. -ის (24233341; ნიდერლანდები) საკუთრებაშია.

კონცენტრაციაში მონაწილე პირები უთითებენ, რომ მათი ურთიერთდამოკიდებული პირებიდან შესაბამის ბაზარზე არ საქმიანობს არცერთი ეკონომიკური აგენტი. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მათ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან წილები არ შეუძენიათ.

კონცენტრაციის ფორმა:

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის წილის შეძენის გზით ეკონომიკურ აგენტზე ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება, კერძოდ, შპს „პიემ მეტალი“ (ს/ნ 405336925) შპს ,,რუსთავის ფოლადისგან“ (ს/ნ 404411908) შეიძენს შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილს.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

შეტყობინების წარმომდგენმა პირებმა, კონცენტრაციის მიზნები წილის გამყიდველისა და მყიდველის პერსპექტივებიდან ცალ-ცალკე წარმოადგინეს. კერძოდ, 100%-იანი წილის გამყიდველის - შპს ,,რუსთავის ფოლადის“ სტრატეგიული მიზანია ფოკუსირება მის ექსპორტზე ორიენტირებულ ძირითად საქმიანობებზე - ფოლადის მილების, მილსადენების, ღრუ პროფილების წარმოება და ექსპორტი. კომპანიის პოზიციით, მისი შედარებითი უპირატესობა და სტრატეგიული პოტენციალი მდგომარეობს არა-არმატურულ სეგმენტებში, რაც ამართლებს არმატურის ბიზნესიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას.

გარიგების შემდგომ 24-თვიან პერიოდზე შპს ,,რუსთავის ფოლადი“ გეგმავს:

- მიღებული კაპიტალის რეინვესტიციას ლითონის მილების საწარმოო სიმძლავრეებში;
- ექსპორტირებული პროდუქციის ზრდას;
- საკადრო და მენეჯერული რესურსების კონცენტრაციას ექსპორტზე ორიენტირებულ საქმიანობებზე;
- სრულ გასვლას სამშენებლო არმატურის წარმოების ბაზრიდან - წარმოდგენილი გარიგების შესრულების შემდგომ კომპანია აღნიშნულ ბაზარზე პირდაპირ ან ურთიერთდამოკიდებული აგენტის მეშვეობით აღარ იოპერირებს. შპს „რუსთავის ფოლადი“ გარიგების შემდგომ რჩება აქტიურ სუბიექტად ფოლადის მრეწველობის სხვა

სეგმენტებში (მილები), რომლებიც განსხვავდებიან სამშენებლო არმატურის ბაზრისგან და შესაბამისად, გარიგების შედეგად ჰორიზონტალურ გადაფარვას არ ქმნიან.

რაც შეეხება შპს ,,პიემ მეტალის“ მიზნებსა და გარიგების მომდევნო 24-თვიან ბიზნეს-გეგმას, იგი მოიცავს:

- არმატურის ადგილობრივი წარმოების დაწყებას შეძენილ კომპანიაში არსებული საწარმოო სიმძლავრის გამოყენებით;
- არსებული საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმიზაციასა და წლიური წარმოების სტაბილიზაციას;
- საკუთარი იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოებით, მიწოდების ჯაჭვის შემოკლებასა და ლოგისტიკური რისკების შემცირებას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- სამიზნე კომპანიაში მოქმედი საწარმოო ერთეულის უწყვეტ ოპერირებასა და მუშახელის შენარჩუნებას;
- დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას.

მხარეთა მოსაზრებით, დაგეგმილი კონცენტრაცია შესაბამის ბაზარზე არსებით ცვლილებას არ გამოიწვევს - რადგან ერთი მოთამაშე (შპს ,,პიემ მეტალი“) ანაცვლებს მეორეს (შპს ,,რუსთავის ფოლადს“). ბაზრის სტრუქტურის თვალსაზრისით, ცვლილება მხოლოდ მფლობელის სახელს შეეხება - არმატურის ქარხანა რჩება მოქმედ საწარმოო ერთეულად. დაგეგმილი ტრანზაქციის შედეგად, შპს ,,რუსთავის ფოლადი“ სრულად გადის არმატურის ბაზრიდან, ხოლო შპს ,,პიემ მეტალი“ ცვლის საკუთარ ბიზნეს მოდელს იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვიდან ადგილობრივ წარმოებაზე. ამდენად, კონცენტრაცია არათუ ზრდის, არამედ ამცირებს მხარეთა ერთობლივ საბაზრო ძალაუფლებას.

მხარეთა შეფასებით, დაგეგმილი კონცენტრაციის განხორციელების მიუხედავად: 1. ადგილობრივი მწარმოებლების რაოდენობა არ შეიცვლება, ხოლო კონკურენტი საწარმოების ჯამური საბაზრო წილი მნიშვნელოვნად მეტია შპს ,,პიემ მეტალის“ გარიგების შემდგომ წილზე; 2. მთავარი მომხმარებლები (სამშენებლო კომპანიები) კვლავ დარჩებიან მოლაპარაკების მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე სუბიექტებად; 3. ბაზარზე შესვლის ბარიერები გარიგების შედეგად არ შეიცვლება.

მხარეთა მოსაზრებით, დაგეგმილი კონცენტრაცია შესაბამის ბაზრებზე დადებით გავლენას მოახდენს. კერძოდ, დადებითი ზეგავლენის კუთხით აღსანიშნავია, ადგილობრივი წარმოების პოტენციური ზრდა (1), დამატებითი ინვესტიცია არმატურის წარმოების მიმართულებით (2), ახალი სამუშაო ადგილების შექმნა რუსთავსა და ქვემო ქართლის რეგიონში (3), მიწოდების ჯაჭვის უფრო მოკლე და საიმედო ფორმა - ადგილობრივი წარმოება ამცირებს სამშენებლო სექტორის დამოკიდებულებას იმპორტზე (4). ამასთანავე, მხარეები

მიიჩნევენ, რომ კონცენტრაციის განხორციელება არ გამოიწვევს უარყოფით შედეგებს რამეთუ: კონცენტრაცია არ ქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას - მხარეთა ერთობლივი წილი მნიშვნელოვნად დაბალია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ 40%-იან ზღვარზე, ასევე, აღნიშნული გარიგების ფარგლებში მხარეთა საერთო წილი ბაზარზე არ იზრდება, უბრალოდ ხდება მოთამაშის ჩანაცვლება (1); ადგილობრივი მწარმოებლების რაოდენობა არ მცირდება (2); იმპორტი შეინარჩუნებს მნიშვნელოვან კონკურენტულ ზეწოლას ბაზარზე; ადგილობრივი წარმოება კვლავ ვერ იქნება საკმარისი, ბაზარზე არსებული მოთხოვნის სრულად დასაფარად (3).

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე:

- დაგეგმილი კონცენტრაციით არ იცვლება ბაზრის სტრუქტურა - მწარმოებლების რაოდენობა რჩება უცვლელი (1), წარმოების დაგეგმილი ზრდა არ არის საკმარისი იმპორტირებული პროდუქციის ჯამის არსებითად შესამცირებლად, რის გამოც მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ რაიმე ტიპის გავლენა ბაზარზე არსებულ ფასზე (2), იმპორტიორების რაოდენობა მცირდება ერთით (შპს ,,პიემ მეტალი“), მაგრამ იმპორტული პროდუქციის ხელმისაწვდომობა ბაზარზე არსებითად არ იცვლება, იმპორტი რჩება ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილად (3).

- დაგეგმილი კონცენტრაცია არ შექმნის ან გააძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, კერძოდ, შპს „პიემ მეტალის“ გარიგების შემდგომი წილი მნიშვნელოვნად დაბალია ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ 40%-იან ზღვარზე.

- დაგეგმილი კონცენტრაცია გამოიწვევს კონკრეტულ პოზიტიურ ეკონომიკურ ეფექტებს: ადგილობრივი წარმოების, ინვესტიციებისა და დასაქმების ზრდას.

ამასთანავე, მხარეთა მითითებით, შპს „რუსთავის ფოლადი“ არ გეგმავს ფოლადის ნედლეულის მიწოდებას შემძენის ან/და სამიზნე კომპანიისათვის, რაც, მათი აზრით, გამორიცხავს ვერტიკალური ბლოკირების ან ფასწარმოქმნის მანიპულირების რისკს.

შეტყობინებაში მოცემულია პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, მითითებულია, რომ მხარეები ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნევენ სამშენებლო არმატურის ბაზარს, რაც მოიცავს არმატურის წარმოებას, იმპორტს და საბითუმო რეალიზაციას. მხარეთა შეფასებით, აღნიშნული პროდუქცია ცალკე პროდუქციულ საზღვრებს ჰქმნის შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: მოთხოვნის მხრივ, არმატურა გამოიყენება სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ სექტორში და ის ფუნქციურად არ ჩანაცვლდება ბრტყელი ფოლადის პროდუქციით, მილებით, უჟანგავი ფოლადის ნაწარმით ან

ფერადი მეტალის პროდუქტებით (1); პროდუქცია ექვემდებარება სპეციფიკურ ტექნიკურ სტანდარტებს (GOST, EN) (2); მომხმარებლები (სამშენებლო კომპანიები, მეტალო-სავაჭრო საწარმოები) გრძელ და ბრტყელ პროდუქციას ცალ–ცალკე ყიდულობენ (3); მიწოდების მხრივ, არმატურის წარმოების დანადგარები სპეციფიკურია სხვა პროდუქციაზე გადართვა და მოკლე ვადაში ტექნიკურად შეუძლებელია (4). რაც შეეხება კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს, კონცენტრაციის სუბიექტთათვის გეოგრაფიული სამოქმედო არეალია ეროვნული დონე - საქართველო.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული

კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა.

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს.

5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39

ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ 6 მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს.
7. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.
8. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
9. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

11. კანონის 11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი 7 ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი.
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს.
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[2]

როგორც სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაშია აღნიშნული, კონცენტრაციაში მონაწილე პირების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფოლადისა და ფოლადის პროდუქციის რეალიზაცია. კერძოდ, შპს „რუსთავის ფოლადი“ წარმოდგენილია ბაზრის წარმოების, ხოლო შპს „პიემ მეტალი“ - იმპორტის დონეზე. რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმილი კონცენტრაციის სფეროს, იგი დაკავშირებულია მხოლოდ სამშენებლო არმატურის წარმოებასთან, რამდენადაც შპს ,,იბერია რიბარის“ (სამიზნე კომპანია) შპს „რუსთავის ფოლადმა“ საკუთრებაში გადასცა მხოლოდ და უშუალოდ სამშენებლო არმატურის წარმოებისათვის საჭირო აქტივები. შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) საქმიანობის სფერო კი 2025 წელს მოიცავდა ფოლადის პროდუქციის, მათ შორის სამშენებლო არმატურის იმპორტსა და საბითუმო რეალიზაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინ „სამშენებლო არმატურაში“ მოიაზრება ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქცია.

ვინაიდან ფოლადის პროდუქციის უმეტესობა ორი ძირითადი მეთოდით - ცხელი ან ცივი გლინვით იწარმოება, სააგენტო პირველ რიგში იმსჯელებს, რამდენად ექცევა ამ ორი განსხვავებული ტექნიკით დამზადებული პროდუქტები ბაზრის ერთსა და იმავე პროდუქციულ საზღვრებში. ამისათვის, სააგენტო იმსჯელებს თითოეული მათგანის მახასიათებლებზე. ცხელი გლინვით დამზადებული ფოლადი გადის ე.წ. წისქვილის პროცესს, რომლის დროსაც ფოლადი მაღალ ტემპერატურაზე იწვება. ცივი გლინვით დამზადებული ფოლადი კი ოთახის ტემპერატურაზე იწვება. ცხელი გლინვა კრისტალიზაციის ტემპერატურაზე მაღლა, ხოლო ცივი - მასზე დაბლა მიმდინარეობს. ფოლადის ცხლად გლინვა გულისხმობს ფილების გრძელ ზოლებად ფორმირებასა და გორვას მას შემდეგ, რაც ისინი გორვისთვის ოპტიმალურზე მაღალ ტემპერატურაზე თბებიან. გაცხელებული ფილა გადის გორგოლაჭების სერიაში, რათა ჩამოყალიბდეს და გაიჭიმოს თხელ ზოლად. ფორმირების დასრულების შემდეგ, ფოლადის ზოლი წყლით გაცივდება და ხვეულად იხვევა. ოთახის ტემპერატურაზე ცხელი ნაგლინი ფოლადის ნორმალიზება ზრდის მის სიმტკიცესა და პლასტიურობას.[3] რაც შეეხება ცივად ნაგლინ ფოლადს, იგი ისევე თბება და ცივდება როგორც ცხლად ნაგლინი ფოლადი, თუმცა შემდეგ უფრო მაღალი დაჭიმვისა და დრეკადობისადმი სიმტკიცის მისაღწევად გახურების ან გაგრილების მეთოდით მუშავდება. დამუშავების

---

[2] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[3] იხ., ვებგვერდი - http://ka.jindalaisteel.com/news/differences-between-hot-rolled-steel-and-cold-rolled-steel/ <ბოლო ნახვის თარიღი: 03.06.2026>.

დამატებითი შრომა და დრო ზრდის მის ფასს, მაგრამ უფრო მოკლე განზომილებიანი ტოლერანტობისა და დამუშავების ფართო სპექტრის ვარიანტების გამოყენების საშუალებას იძლევა. ფოლადის ამ ფორმას აქვს უფრო გლუვი დასრულება და გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მოითხოვს ზედაპირის სპეციფიკურ მდგომარეობას და განზომილებიანი ტოლერანტობის მოთხოვნებს.[4]

ფოლადის ამ ორი განსხვავებული ტექნოლოგიით დამუშავების შემთხვევაში, პროდუქტების ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებლებია მათი გამოყენების თავისებურება, მექანიკური თვისებები და ფასი. გამოყენების თავისებურებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ცივად ნაგლინი ფოლადი ძირითადად გამოიყენება სტრუქტურულ ნაწილებში, ლითონის ავეჯში, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ავტონაწილებში, სადაც მეტად მნიშვნელოვანია სიზუსტე ან ესთეტიკა. ცხლად ნაგლინი ფოლადი კი, როგორც წესი, გამოიყენება მშენებლობისთვის, რკინიგზის ლიანდაგებისთვის, ლითონის ფურცლებისა და სხვა აპლიკაციებისათვის, რომლებიც არ საჭიროებს მიმზიდველ დამუშავებას ან ზუსტ ფორმებსა და ტოლერანტობას. ცივად ნაგლინი ფოლადის მექანიკური თვისებებიც, როგორც წესი, უკეთესია, რადგან ცივი გლინვის პროცესი იძლევა გამკვრივების ეფექტს, რაც განაპირობებს ამგვარად დამუშავებული ფურცლის ზედაპირის სიმტკიცეს, ნაკლებ დრეკადობასა და ზედაპირის სტრუქტურის უფრო მაღალ ხარისხს. ასევე, უფრო თხელია ცივად ნაგლინი ხვეულებიც. ამ ორი მეთოდოლოგიით წარმოებისა და დამუშავების პროცესების სხვაობა კი თავის მხრივ განაპირობებს ფასთა შორის სხვაოებებსაც.[5]

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სააგენტო მხედველობაში იღებს ცხლად და ცივად ნაგლინი არმატურების ფიზიკურ მახასიათებლებსა (მაგალითად, ზომითი სიზუსტე, ზედაპირი, სიმტკიცე, პლასტიკურობა/დრეკადობა, შედუღება/ღუნვა და სხვა)[6] და გამოყენების მიზნობრიობას (კერძოდ, ცხლად ნაგლინი არმატურა, როგორც წესი, გამოიყენება რკინაბეტონის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული გამაგრებისთვის, ხოლო ცივად ნაგლინი/ცივად დამუშავებული არმატურა ხშირად გამოიყენება შედუღებულ არმატურის ბადეებში, ფილებსა და შედარებით მცირე დიამეტრის გამაგრებაში),[7] ასევე მათი დამუშავების მეთოდებს შორის არსებით სხვაობას და მიუთითებს, რომ ამ ორი ტექნიკით წარმოებული პროდუქტები სხვადასხვა პროდუქციული საზღვრების მქონე ბაზრებს

---

[4] იქვე.

[5] იხ., ვებგვერდი - https://www.ehongsteel.com/ka/news/what-is-hot-rolled-what-is-cold-rolled-and-the-difference-between-the-two%EF%BC%9F/ <ბოლო ნახვის თარიღი: 03.06.2026>.

[6] იხ., ვებგვერდი - https://www.metalsupermarkets.com/difference-between-hot-rolled-and-cold-rolled-steel/?utm_source <ბოლო ნახვის თარიღი: 03.06.2026>.

[7] Cement Concrete & Aggregates Australia, Guide to Concrete Construction — Part II, Section 6: Reinforcing & Prestressing Steel Properties, Version 1.0, 2020, p. 2; **შენიშვნა:** ორიგინალი ტექსტის მიხედვით - Bars are normally associated with beams and columns and mesh with floors and walls (ღეროები ჩვეულებრივ ასოცირდება კოჭებსა და სვეტებთან, ხოლო ბადე - ფილებსა და კედლებთან). აღსანიშნავია, რომ ღერო (Bar) პრაქტიკაში ძირითადად წარმოდგენილია ცხლად ნაგლინი დეფორმირებული ფოლადის სახით, ხოლო ბადე (Mesh) ხშირად მზადდება ცივად დამუშავებული ან ცივად ნაგლინი მავთულისგან/მცირე დიამეტრის ფოლადის ელემენტებისგან.

განეკუთვნებიან. აღნიშნული მიდგომა ასევე შეესაბამება სააგენტოს არსებულ პრაქტიკას ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულების სფეროში - კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესწავლის ობიექტად ცხლად ნაგლინი არმატურა განისაზღვრა, ხოლო ცივად გლინვის შედეგად წარმოებული არმატურა შესწავლის ობიექტისაგან განსხვავებულ პროდუქტად იქნა მიჩნეული.[8]

აქვე აღსანიშნავია, რომ ფოლადის, მათ შორის ცხლად ნაგლინი ფოლადის პროდუქტები შესაძლოა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს კლასების მიხედვითაც, თუმცა განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნების, კონცენტრაციაში მონაწილე პირების საქმიანობის სფეროს, ასევე ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად განესაზღვრა სამშენებლო არმატურის (ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქციის) მიწოდების ბაზარი მისი შემდგომი ჩაშლისა და ქვეკატეგორიზაციის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი შეტყობინების საფუძველზე სააგენტო განიხილავს ჰორიზონტალურ კონცენტრაციას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად სამშენებლო არმატურის (ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქციის) მიწოდება იქნა განსაზღვრული.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განსახილველი კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

ვინაიდან, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამის ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს

[8] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დასკვნა - რუსეთის ფედერაციაში და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და გლინულის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტთან დაკავშირებით მიმდინარე ანტიდემპინგური შესწავლის თაობაზე, თბილისი, 2025, 4, 18.

ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

ბაზრის ანალიზის ფარგლებში შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2025 წელს სამშენებლო არმატურის იმპორტის შესახებ.[9] ამასთანავე, სააგენტომ ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოში სამშენებლო არმატურის მწარმოებელი კომპანიებისაგან მათ მიერ 2025 წლის განმავლობაში წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის შესახებ. მიღებული ინფორმაციის[10] მიხედვით დადგინდა შემდეგი:

სამშენებლო არმატურის (ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქციის) ბაზარი - 2025 წელი:

- ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა[11] - **31**;
- ბაზრის მოცულობა - **512 538.16** ტონა;
- HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **1719.67**;
- შპს ,,პიემ მეტალის“ საბაზრო წილი - **%**;
- შპს ,,რუსთავის ფოლადის“ საბაზრო წილი - **%**;
- HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **1841.17**;
- კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI) – **121.5.**

ამდენად, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. მცირეა შპს ,,პიემ მეტალის“ საბაზრო წილი. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ ბაზარი კვლავ ზომიერად კონცენტრირებული რჩება. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI) საგრძნობლად ჩამოუვარდება 250-ს, რაც კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანების 8[2] მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, გულისხმობს, რომ კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

---

[9] სააგენტოს 2026 წლის 13 მაისის N02/3223 წერილი.

[10] სსიპ შემოსავლების სამსახურის 2026 წლის 18 მაისის N21-10/35256 წერილი (სააგენტოში რეგ. N01/4480); შპს „ჯეოსთილის“ 2026 წლის 21 მაისის N01/4633 წერილი; შპს „ჯორჯიან მეტალის“ 2026 წლის 21 მაისის N01/4625 წერილი; შპს „რუსთავის ფოლადის“ 2026 წლის 21 მაისის N01/4627 და 15 მაისის 01/4337 წერილები; შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ 2026 წლის 19 მაისის N01/4494 წერილი.

[11] მხედველობაში იქნა მიღებული მხოლოდ ისეთი სუბიექტები, რომელთა მიერ იმპორტირებული ან/და წარმოებული შესაბამისი პროდუქტის მოცულობა აღემატებოდა 100 ტონას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა მხოლოდ ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, ხოლო თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, კონკრეტულად კი შეფასებული ბაზრების სტრუქტურის, აგრეთვე, კონცნეტრაციის მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განსახორციელებული კონცენტრაცია არ მოახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „პიემ მეტალის“ (ს/ნ 405336925) მიერ შპს „იბერია რიბარის“ (ს/ნ 445811621) 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.